

სანიმუშო საგამოცდო კითხვები

ნაწილი 1 – მრავალჯარიანი კითხვები

1. კომპანია აწარმოებს ორ პროდუქტს C და D. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ორივე პროდუქტის შესახებ:

	C პროდუქტი	D პროდუქტი	სულ
საბიუჯეტო წარმოება (ერთეულები)	1,000	4,000	5,000
შრომის კაცსაათები/ერთეულზე/სულ	8	10	48,000
საწარმოო ხაზის გაშვების რაოდენობა	13	15	28
წარმოების დროს შემოწმებების რაოდენობა	5	3	8
მთლიანი საწარმოო ხაზის გაშვების დანახარჯები	\$140,000		
მთლიანი შემოწმების დანახარჯები	\$80,000		
სხვა ზედნაღები ხარჯები	\$96,000		

საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის გამოყენების შემთხვევაში, რამდენია D პროდუქტის ერთეულის საბიუჯეტო ზედნაღები ხარჯი?

- ა \$43.84
 - ბ \$46.25
 - გ \$131.00
 - დ \$140.64
2. X პროდუქტის თითო ერთეულის სარეალიზაციო ფასია \$550, ხოლო მოსალოდნელი რეალიზაციის მოცულობა – 800 ერთეული.
X პროდუქტში ჩადებული \$500,000 ოდენობის ინვესტიციიდან მომავალ წელს მოსალოდნელი უკუგება შეადგენს 30%-ს.
რამდენია X პროდუქტის მიზნობრივი დანახარჯი?

- ა \$385.00
- ბ \$165.00
- გ \$187.50
- დ \$362.50

3. კომპანია აწარმოებს ორ პროდუქტს, P1 და P2. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია, თითოეული პროდუქტის ბიუჯეტის შესახებ:

	P1	P2
	\$	\$
სარეალიზაციო ფასი	10.00	8.00
დანახარჯები ერთეულზე		
პირდაპირი მასალა	3.50	4.00
პირდაპირი შრომა	1.50	1.00
ცვლადი ზედნადები ხარჯი	0.60	0.40
მუდმივი ზედნადები ხარჯი	1.20	1.00
	<hr/>	<hr/>
მოგება ერთეულზე	3.20	1.60
	<hr/>	<hr/>

20X5 წ. 30 ნოემბერს დამთავრებული წლის წარმოებისა და რეალიზაციის ბიუჯეტია

P1 პროდუქტი 10,000 ერთეული
 P2 პროდუქტი 12,500 ერთეული

P1 პროდუქტის დანახარჯებში ჩართული მუდმივი ზედნადები ხარჯი არის განაწილებული საერთო ზედნადები ხარჯები. თუმცა, P2 პროდუქტშიც ჩართულია \$2,500 ოდენობის სპეციფიკური მუდმივი დანახარჯები.

მხოლოდ P1 პროდუქტის წარმოების შემთხვევაში, თითოეულ წელს რამდენი ერთეული (უახლოესი მთლიანი ერთეულის სიზუსტით) უნდა იქნეს რეალიზებული \$60,000 ოდენობის მოგების მიღების მიზნით?

- ა 25,625 ერთეული
- ბ 19,205 ერთეული
- გ 18,636 ერთეული
- დ 26,406 ერთეული

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი გამოიწვევს გამოსავლიანობის სააღრიცხვო კოეფიციენტის ზრდას?

- ა საწარმოო პროცესის ყველაზე სწრაფი მანქანის სიჩქარის გაზრდა.
- ბ ქარხნის საიჯარო ქირის მოულოდნელმა ზრდამ.
- გ 5%-იანი ხელფასების ზრდა, რომელიც 8%-იან წარმოებლურობის ზრდას უკავშირდება.
- დ 10%-იანი ფასდათმობა, რომელიც დაწესებულია, რომ მოთხოვნა 20%-ით გაიზარდოს.

5. X პროდუქტის 19 ლიტრის წარმოებისათვის მასალების ნორმატიული პროპორცია არის: A ქიმიკატი – 8 ლიტრი, B ქიმიკატი – 12 ლიტრი.

A ქიმიკატის ნორმატიული დანახარჯია \$20/ლიტრზე, ხოლო B ქიმიკატის – \$25/ლიტრზე.

სექტემბრის განმავლობაში X პროდუქტის ფაქტობრივმა წარმოებამ შეადგინა 1,850 ლიტრი, რისთვისაც გამოყენებული იყო A ქიმიკატის 900 ლიტრი და B ქიმიკატის 1,100 ლიტრი.

A და B ქიმიკატების ფაქტობრივი დანახარჯი იყო ნორმატიული დანახარჯის ტოლი, ანუ ერთი ლიტრი \$20 და \$25, შესაბამისად.

ზემომოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი?

- ა ორივე გადახრა არახელსაყრელია.
- ბ ორივე გადახრა ხელსაყრელია.
- გ მთლიანი ნომენკლატურის გადახრა არახელსაყრელია, ხოლო მთლიანი რაოდენობის გადახრა – ხელსაყრელი.
- დ მთლიანი ნომენკლატურის გადახრა ხელსაყრელია, ხოლო მთლიანი რაოდენობის გადახრა – არახელსაყრელი.

6. ქვემოთ მოცემული განცხადებები ეხება პროგნოზირებადი კონტროლის საბიუჯეტო სისტემას:

- (1) პროგნოზირებადი კონტროლის სისტემას უპირატესობა აქვს, კონტროლის სხვა სისტემებთან შედარებით, რადგან იგი განსაზღვრავს, დაგეგმვა რამდენად ეფექტური იყო.
- (2) პროგნოზირებადი კონტროლის განხორციელება ხდება საქმიანობის შესრულების დროს.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი განცხადებაა სწორი?

- ა მხოლოდ (1)
- ბ მხოლოდ (2)
- გ არც (1) და არც (2)
- დ (1) და (2)

7. ამჟამად კომპანიის კვალიფიციური შრომის ჩრდილოვანი ფასია \$8/კაცსაათში.

რას ნიშნავს ეს?

- ა დამატებითი კვალიფიციური შრომის რესურსის ღირებულებაა \$8/კაცსაათზე.
- ბ აქტიურად მომუშავე კვალიფიციური შრომის თითო საათის ფარული ღირებულებაა \$8/საათში.
- გ კვალიფიციური შრომის თითოეული დამატებითი კაცსაათის შეძენის შემთხვევაში, ზღვრული მოგება გაიზრდება \$8-ით.
- დ კვალიფიციური შრომის თითოეული დამატებითი კაცსაათის შეძენის შემთხვევაში, მთლიანი დანახარჯები შემცირდება \$8-ით.

8. ქვემოთ მოცემულია კომპანიის მომავალი ოთხი კვირის წარმოების გეგმა. მოცემული ციფრები გამოხატავს წარმოებას სრული სიმძლავრით. საბიუჯეტო წარმოება თითოეული პროდუქტის მაქსიმალური მოთხოვნის ტოლია.

	A პროდუქტი	B პროდუქტი	C პროდუქტი	D პროდუქტი
	\$/ერთეულზე	\$/ერთეულზე	\$/ერთეულზე	\$/ერთეულზე
სარეალიზაციო ფასი	160	214	100	140
ნედლეულის დანახარჯი	24	56	22	40
პირდაპირი შრომა	66	88	33	22
ცვლადი ხელნაღები ხარჯები	24	18	24	18
მუდმივი ხელნაღები ხარჯები	16	10	8	12
მოგება	30	42	13	48
საბიუჯეტო წარმოების დონე	300	125	240	400
პირდაპირი შრომის საათები ერთეულზე	6	8	3	2

აღმოჩნდა, რომ მომავალი ოთხი კვირის განმავლობაში ხელმისაწვდომი კაცსაათები შეზღუდული იქნება 4,000 საათით.

შემდეგი ოთხი კვირის განმავლობაში, კომპანიამ რა თანმიმდევრობით უნდა აწარმოოს პროდუქტები, რომ მიიღოს მაქსიმალური მოგება?

- ა D, A, C, B
- ბ D, B, A, C
- გ B, A, D, C
- დ D, C, A, B

9. კომპანია „დეფი“ სამთავრობო დაწესებულებებს საბუღალტრო მომსახურებას აწვდის. საშუალოდ თითოეული თანამშრომელი მუშაობს ექვს ფასიან საათს დღეში, ხოლო დანარჩენ დროს ასრულებს უფასო ადმინისტრაციულ სამუშაოს. კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება და მომხმარებელთა კმაყოფილება.

ქვემოთ მოცემულია კომპანია „დეფის“ რამდენიმე წლის მიზანი:

- (1) ქვედანაყოფის დანახარჯების შემცირება 5%-ით;
- (2) მრჩეველების ფასიანი საათების გაზრდა დღეში 6.2 საათამდე;
- (3) მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევებისას 4.7 ან მეტი ქულის მოპოვება.

ზემოთ ჩამოთვლილი რომელი მიზანი აფასებს კომპანიის ეკონომიურობას, ეფექტიანობას და ეფექტურობას?

	ეკონომიურობა	ეფექტიანობა	ეფექტურობა
ა	1	3	2
ბ	2	1	3
გ	3	2	1
დ	1	2	3

10. ნორმატიული დანახარჯების კალკულაციის ზუსტი განმარტებაა: ნორმატიული დანახარჯების კალკულაცია არის საბიუჯეტო სისტემა, სადაც:

- ა ყოველ წელს ხორციელდება ყველა საქმიანობის შესწავლა, წარსული გამოცდილების გათვალისწინებლად.
- ბ წინასწარ განსაზღვრულია წარმოების დონე და დანახარჯები, ხოლო შემდეგ ფაქტობრივ შედეგს ადარებენ წინასწარგანსაზღვრულ დანახარჯებს და ასრულებენ გადახრების ანალიზს.
- გ ნორმატიული დანახარჯი შესაძლოა შეუდარდეს ფაქტობრივ დანახარჯებს.
- დ დანახარჯების მიკუთვნება ხდება, კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი დანახარჯების გათვალისწინებით.

11. საიუველირო კომპანია აწარმოებს ბეჭდებს (R) და ყელსაბამებს (N). კომპანიის ხელმისაწვდომი რესურსების გაანალიზების შედეგად განისაზღვრა ორი შეზღუდვა:

შრომის საათები $3R + 2N \leq 2,400$ საათი;

მანქანასაათები $0.5R + 0.4N \leq 410$ საათი.

მმართველობითი აღრიცხვის ბუღალტერმა გამოიყენა წრფივი პროგრამირება და დაადგინა, რომ $R = 500$ და $N = 400$.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია „გაყინული“ რესურსი?

- (1) ხელმისაწვდომი შრომის საათები;
- (2) ხელმისაწვდომი მანქანასაათები.

- ა მხოლოდ (1)
- ბ მხოლოდ (2)
- გ (1) და (2)
- დ არც (1) და არც (2)

12. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, დანახარჯთა კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის შესახებ, რომელია სწორი?

- (1) შესაძლებელია ამ მეთოდის გამოყენება არა მხოლოდ პროდუქტების, არამედ ორგანიზაციის მომხმარებელთა მიმართ.
- (2) იგი მოიცავს წარმოებასთან დაკავშირებულ ალტერნატიულ დანახარჯებს.

- (3) სიმწიფის ეტაპზე ხდება მოთხოვნის სწრაფი ზრდა.
- (4) ხშირად ხარჯების 70%-დან 90%-მდე განისაზღვრება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ადრეულ ეტაპზე.

ა (1), (2) და (4)

ბ (3) და (4)

გ (1) და (4)

დ (2) და (3)

13. კომპანია აწარმოებს პროდუქტს, რომლის წარმოება მოითხოვს ერთეულზე ოთხ მანქანასათს. მანქანასათი არის დეფიციტური რესურსი, რადგან ხელმისაწვდომია მხოლოდ ათი მანქანა-დანადგარი, რომლებიც მუშაობენ დღეში 12 საათს, კვირაში ხუთი დღე. პროდუქტის სარეალიზაციო ფასია \$130 ერთეულზე, პირდაპირი მასალის დანახარჯი – \$50 ერთეულზე, შრომის დანახარჯი – \$40 ერთეულზე და საქარხნო ზედნადები ხარჯები – \$20 ერთეულზე. ეს დანახარჯები ეფუძნება კვირაში 150 ერთეულის წარმოებას და გაყიდვას.

რამდენია გამოსავლიანობის სააღრიცხვო კოეფიციენტი?

ა 1.33

ბ 2.00

გ 0.75

დ 0.31

14. კომპანია „ოქსკოს“ აქვს ორი, A და B ქვედანაყოფი. A ქვედანაყოფი ამზადებს კომპონენტს, რომელიც შეუძლია მიჰყიდოს მხოლოდ B ქვედანაყოფს. სხვა მომხმარებელი არ არსებობს.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეხება A ქვედანაყოფს:

ზღვრული მოგება ერთეულზე	\$100
კომპონენტის შიდა გადაცემის ფასი	\$165
კომპონენტის წლიური მთლიანი წარმოებისა და გაყიდვების რაოდენობა	2,200 ერთეული
A ქვედანაყოფის წლიური სპეციფიკური მუდმივი დანახარჯები	\$10,000

კომპანია „კოლდმა“ B ქვედანაყოფს შესთავაზა კომპონენტის მიწოდება \$140-ად ერთეულზე. თუ B ქვედანაყოფი მიიღებს შეთავაზებას, A ქვედანაყოფი დაიხურება.

თუ B ქვედანაყოფი მიიღებს კომპანია „კოლდის“ შეთავაზებას, რა გავლენას მოახდენს ჯგუფის წლიურ მოგებაზე?

ა გაიზრდება \$65,000-ით.

ბ შემცირდება \$78,000-ით.

გ შემცირდება \$88,000-ით.

დ გაიზრდება \$55,000-ით.

15. საინვესტიციო ცენტრის ქვედანაყოფის მენეჯერს აქვს ყველა სარეალიზაციო ფასის მოლაპარაკების უფლება, გააჩნია კრედიტორული დავალიანების ანგარიშის გახსნის, მარაგისა და ფულადი სახსრების მართვის ადგილობრივი ფუნქცია და იყენებს ვალების ფაქტორინგულ მომსახურებას.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რაზეა პასუხისმგებელი ქვედანაყოფის მენეჯერი?

- (1) შემოსავლების მიღებაზე;
- (2) შიდა გადაცემის ფასის დადგენაზე;
- (3) საბრუნავი კაპიტალის მართვაზე;
- (4) სათავო ოფისის ხარჯების განაწილებაზე.

ა (1), (2) და (3).

ბ (2), (3) და (4).

გ მხოლოდ (1) და (3)

დ (1), (2) და (4).

ნაწილი ბ – სცენარზე დაფუძნებული მრავალვარიანტიანი კითხვები

შემდეგი სცენარი ეხება მე-16 – მე-20 კითხვებს.

კომპანია „გლემი“ სილამაზის სალონია, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს თმის შეჭრას და შეღებვას. სალონში მუშაობს სამი უფროსი სტილისტი, ორი ასისტენტი და ორი უმცროსი სტილისტი.

სალონის ყველა მომხმარებელს, პირველ რიგში, ემსახურება სალონის ასისტენტი, რომელიც მათ თმას ბანს; შემდეგ მომხმარებელი მიდის უფროს სტილისტთან, რომელიც იმის მიხედვით, მომხმარებელს რა მომსახურების მიღება სურს, ჭრის თმას ან ღებავს; დასასრულს, უმცროსი სტილისტი თმას აშრობს. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია თითოეულ სპეციალისტთან გატარებული საშუალო დროის შესახებ:

	თმის შეჭრა საათი	თმის დავარცხნა საათი
ასისტენტი	0.1	0.3
უფროსი სტილისტი	1	1.5
უმცროსი სტილისტი	0.6	0.5

სალონი ღია ყოველდღე რვა საათის განმავლობაში, კვირაში ექვსი დღე. იგი დახურულია წელიწადში მხოლოდ ორი კვირით. თითოეული უფროსი სტილისტის წლიური ხელფასია \$40,000, უმცროსი სტილისტის – \$28,000, ხოლო ასისტენტის – \$12,000. დაბანვის დროს გამოყენებული მასალის ღირებულებაა \$1.50 ერთ მომხმარებელზე. დამატებითი მასალის დანახარჯი, რომელიც გამოიყენება თმის შეღებვისას, არის \$7.40 ერთ მომხმარებელზე. სალონის სხვა დანახარჯები (შრომისა და მასალების გარდა) შეადგენს წლიურ \$106,400-ს.

თმის შეჭრის სარეალიზაციო ფასია \$60, ხოლო თმის შეღებვის – \$110.

უფროსი სტილისტის დრო წარმოადგენს დეფიციტურ რესურსს.

16. რამდენია დეფიციტური რესურსის წლიური სიმძლავრე?

	თმის შეჭრა	თმის შეღებვა
ა	2,400	1,600
ბ	4,800	4,800
გ	7,200	4,800
დ	9,600	9,600

17. სალონის ერთი საათის დანახარჯი შეადგენს \$42.56-ს.

რამდენია ორივე მომსახურების გამოსავლიანობის სააღრიცხვო კოეფიციენტი?

	<i>თმის შეჭრა</i>	<i>თმის შეღებვა</i>
ა	1.37	1.58
ბ	1.41	2.38
გ	1.37	1.61
დ	1.41	2.41

18. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ქმედების განხორციელებით შეძლებს სალონი გამოსავლიანობის სააღრიცხვო კოეფიციენტის გაუმჯობესებას?

- (1) თითოეული მომსახურების დეფიციტური რესურსის მოხმარებული დროის გაზრდა.
- (2) განსაზღვრულ მომსახურების მასალების დანახარჯების შემცირების გზები.
- (3) მასალის დონის გაზრდა, მასალების დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით.
- (4) დეფიციტური რესურსის წინა ეტაპის წარმადობის გაზრდა.
- (5) სალონის საერთო საოპერაციო ხარჯების კონტროლის გაუმჯობესება.
- (6) მომსახურებების სარეალიზაციო ფასის გაზრდა.

- ა (1), (2) და (4).
 ბ (2), (3) და (5).
 გ (2), (5) და (6).
 დ (1), (4) და (6).

19. რა გავლენას მოახდენდა დეფიციტურ რესურზე კიდევ ერთი უფროსი სტილისტის დაქირავება?

- ა მხოლოდ თმის შეჭრის მომსახურების შემთხვევაში, უფროსი სტილისტის დრო იქნებოდა დეფიციტური რესურსი.
 ბ მხოლოდ თმის შეღებვის მომსახურების შემთხვევაში, უფროსი სტილისტის დრო იქნებოდა დეფიციტური რესურსი.
 გ უფროსის სტილისტის დრო იქნებოდა დეფიციტური რესურსი, ორივე, თმის შეჭრის და თმის შეღებვის, მომსახურების შემთხვევაში.
 დ დეფიციტური რესურსი არ იარსებებდა.

20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, შეზღუდვების თეორიის შესახებ, რომელია სწორი?

- (1) იგი ყურადღებას ამახვილებს პროცესის იმ ეტაპის გამოვლენაზე, რომელზეც გროვდება პრობლემა, ვინაიდან ამ ეტაპზე პროდუქცია უფრო სწრაფად შემოდის, ხოლო შემდეგ ეტაპს კი არ შეუძლია ამ მოცულობის დამუშავება.

- (2) იგი ეფუძნება კონცეფციას, რომ ორგანიზაციას შეუძლია სამი ძირითადი ფაქტორის მართვა – გამოსავლიანობის, საოპერაციო დანახარჯებისა და მარაგის.
 - (3) იგი იყენებს გარკვეული ეტაპების თანმიმდევრობას დეფიციტური რესურსის აღმოსაფხვრელად, რომლის მიღწევის შემდეგ გაუმჯობესების პროცესი დასრულებულია.
 - (4) მისი გამოყენება შესაძლებელია ყველა შემზღვეველი ფაქტორის მიმართ, როგორც შიდა ასევე გარე, რომლებიც ორგანიზაციაზე ახდენს გავლენას.
- ა (1) და (2).
 - ბ (1), (2) და (3).
 - გ (2), (3) და (4).
 - დ (1), (3) და (4).

შემდეგი სცენარი ეხება 21-ე – 25-ე კითხვებს.

კომპანია „ჩეარ“ დაკავებულია რამდენიმე ახალი პროდუქტის შექმნით. ერთ-ერთი მათგანია მდიდრული ავტომანქანის სავარძელი. პირველი ერთეულის წარმოების შეფასებული ღირსება 12 კაცსათია, მაგრამ პირველი რვა ერთეულის წარმოებისას მოსალოდნელია 75% სწავლების მრუდის ეფექტი. შრომის დანახარჯია \$15 კაცსათზე.

ერთეულის მასალებისა და სხვა ცვლადი ზედნადები ხარჯების მოსალოდნელი დანახარჯია \$230. კომპანია „ჩეარ“ გეგმავს ერთი სავარძლის ფასის დადგენას მთლიან ცვლად დანახარჯებს პლუს 50%-იანი ფასნამატის დამატებით, ხოლო შრომის დანახარჯი გამოთვლილი იქნება მე-8 ერთეულის წარმოების დროის საფუძველზე.

21. რამდენია მე-8 ერთეულის შრომითი დანახარჯი?

- ა \$45.65
- ბ \$75.94
- გ \$4.32
- დ \$3.04

22. დასრულდა ახალი ავტომანქანის სავარძლის წარმოების პირველი ეტაპი. პირველი ერთეულის ფაქტობრივი წარმოება გაგრძელდა 12.5 საათი, ხოლო პირველი რვა ერთეულის წარმოების ღირსება 34.3 საათია, ამის შემდეგ სწავლების ეფექტი დაიკარგა. კომპანია „ჩეარ“ გეგმავს ფასის კორექტირებას, რათა ასახულ იქნეს სავარძლის მერვე ერთეულის ფაქტობრივი წარმოების ღირსება.

რამდენია ფაქტობრივი სწავლების განაკვეთი?

- ა 65.7%
- ბ 58.6%
- გ 70.0%
- დ 76.5%

23. კომპანია „ჩეარ“ ქმნის სხვა ახალ პროდუქტს – მაღალ სკამს პატარა ბავშვებისათვის. ანალოგიური პროდუქტების წარმოების წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსალოდნელი სწავლების განაკვეთია 85%, მაგრამ წარმოების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მიღწეულ იქნა 80% ოდენობის სწავლების განაკვეთი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ახსნის უკეთესად, რატომ განსხვავდებოდა ფაქტობრივი სწავლების განაკვეთი მოსალოდნელისაგან?

- (1) წარმოების პირველ ეტაპზე თანამშრომელთა დონე სტაბილური იყო.
- (2) წარმოების დროს მანქანა-დანადგარები მწყობრიდან გამოდიოდა.
- (3) მუშები სკამებს ხელით აწყობდნენ და სამუშაო განმეორებადი იყო.
- (4) ამ პერიოდის განმავლობაში თანამშრომლების მაღალი დენადობა დაფიქსირდა.
- (5) წარმოების პროცესი ძალიან იშვიათად ფერხდებოდა.
- (6) ამ ადრეულ სტადიაზე სკამის დიზაინი რამდენიმეჯერ შეიცვალა.

ა (2), (3) და (4).

ბ (1), (3) და (5).

გ (1), (5) და (6).

დ (2), (4) და (6).

24. კომპანია „ჩეარ“ იყენებს დანახარჯებს პლუს ფასდადგენის მიდგომას.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი დანახარჯებს პლუს ფასდადგენის შესახებ?

- (1) ზღვრულ დანახარჯებს პლუს ფასდადგენის გამოყენება უფრო ადვილია იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ცვლადი დანახარჯების ადვილად განსაზღვრა.
- (2) მთლიან დანახარჯებს პლუს ფასდადგენა მოითხოვს, რომ წარმოების საბიუჯეტო დონე თავიდან იყოს განსაზღვრული.
- (3) დანახარჯებს პლუს ფასდადგენა არის სტრატეგიული მიდგომა, რადგან იგი ითვალისწინებს გარე ფაქტორებს.
- (4) დანახარჯებს პლუს ფასდადგენა მოითხოვს, რომ კომპანიამ გამოიყენოს მუდმივი მოგების ფასნამატი.

ა (1), (2) და (4).

ბ (1) და (2).

გ (3) და (4).

დ (1) და (3).

25. კომპანიამ შექმნა ახალი საოფისე სავარძელი და ხელმძღვანელობა ცდილობს ამ პროდუქტის ბიუჯეტის შედგენას. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა წარმოების დონე შეუსაბამოს მოთხოვნის დონეს, თუმცა, ამ სავარძლის მოთხოვნის დონე განუსაზღვრელია.

ქვემოთ მოცემულია ხელმძღვანელობის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

	მოთხოვნა (ერთეული)	ალბათობა
უარესი შედეგი	10,000	0.3
მოსალოდნელი შედეგი	22,000	0.5
საუკეთესო შედეგი	35,000	0.2

ერთეულის სარეალიზაციო ფასია \$25. 25,000-მდე ერთეულის წარმოების დონის ცვლადი დანახარჯია \$8 ერთეულზე. 25,000 ერთეულზე მეტი წარმოების დონის შემთხვევაში, ცვლადი დანახარჯი შემცირდება 10%-ით და ეს შემცირება გავრცელდება ყველა წარმოებულ ერთეულზე.

შეფასებული მთლიანი მუდმივი დანახარჯი არის \$75,000.

რამდენია პროექტის მოსალოდნელი საბიუჯეტო ზღვრული მოგება?

- ა \$282,000
- ბ \$357,000
- გ \$287,600
- დ \$362,600

შემდეგი სცენარი ეხება 26-ე – 30-ე კითხვებს.

კომპანია „ლაგი“ აწარმოებს დივნებს. მან ახლახან მომხმარებლისგან დივნების წარმოებაზე ერთჯერადი შეკვეთა მიიღო. შეკვეთა უნდა შესრულდეს ორ კვირაში. ქვემოთ მოცემულია დანახარჯების შეფასება:

		\$
პირდაპირი მასალა:		
ქსოვილი	200 მ ² - \$17/მ ²	3,400
ხის მასალა	50 მ ² - \$8.20/მ ²	410
პირდაპირი შრომა:		
კვალიფიციური	200 კაცსაათი - \$16/კაცსაათზე	3,200
ნახევრად კვალიფიციური	300 კაცსაათი - \$12/კაცსაათზე	3,600
ქარხნის ზედნადები ხარჯები	500 კაცსაათი - \$3/კაცსაათზე	1,500
		12,110
მთლიანი საწარმოო დანახარჯები		12,110
საერთო მუდმივი ზედნადები ხარჯები		
- მთლიანი საწარმოო დანახარჯების 10%		1,211
		13,321
მთლიანი დანახარჯები		13,321

რელევანტური დანახარჯების საფუძველზე, საჭიროა ფასის შეთავაზების მომზადება ისე, რომ კომპანიამ შეძლოს შეკვეთისთვის რაც შეიძლება კონკურენტული ფასის შეთავაზება.

26. კომპანია რეგულარულად გამოიყენებს ქსოვილს, ამჟამად მარაგში არის 300 მ², რომლის ღირებულებაა \$17/მ². ქსოვილის მიმდინარე შესყიდვის ფასია \$17.50/მ².

კომპანია რეგულარულად გამოიყენებს ხის მასალასაც, რომლის ჩვეულებრივი შესყიდვის ფასია \$8.20/მ². თუმცა, კომპანიის ამჟამინდელი მომწოდებლის ხის მასალის მიწოდების დრო არის სამი კვირა. სხვა მომწოდებელს შეუძლია მასალის დაუყოვნებლივ მიწოდება, მაგრამ ფასი იქნება \$8.50/მ². ამჟამად „ლაგის“ აქვს 500 მ² მარაგი, მაგრამ აქედან 480 მ² საჭიროა სხვა შეკვეთის დასამთავრებლად, რომლის შესრულება უნდა დამთავრდეს შემდეგ ორ კვირაში. დანარჩენი 20 მ² დასჭირდება მხოლოდ ოთხი კვირის შემდეგ.

რა ოდენობის ქსოვილის და ხის მასალის დანახარჯები ჩაირთვება ფასის შეთავაზებაში?

	<i>ქსოვილი</i>	<i>ხის მასალა</i>
ა	\$3,500	\$419
ბ	\$3,400	\$419
გ	\$3,500	\$255
დ	\$0	\$255

27. კვალიფიციური სამუშაო ძალა დაქირავებულია მუდმივი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის მიხედვით მათ უნდა აუნაზღაურონ კვირაში 40 საათი, მოცდენის დროის ჩათვლით, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შეკვეთების არარსებობის შემთხვევაში. მათი ანაზღაურების განაკვეთია \$16 კაცსაათში, თუმცა ზენორმატიული დროის ანაზღაურება ხდება ერთნახევარი განაკვეთით. შემდეგი ორი კვირის განმავლობაში კვალიფიციური შრომის სარეზერვო სიმძლავრეა 150 კაცსაათი.

ნახევრად კვალიფიციური სამუშაო ძალის სარეზერვო სიმძლავრე არ არსებობს. მათი ანაზღაურება შეადგენს \$12/კაცსაათში, ხოლო ზენორმატიული დროის ანაზღაურება ხდება ერთნახევარი განაკვეთით. თუმცა, ადგილობრივ სააგენტოს შეუძლია დამატებითი ნახევრად კვალიფიციური სამუშაო ძალის დაქირავება კაცსაათში \$14-ად.

რა ოდენობის კვალიფიციური შრომის და ნახევრად კვალიფიციური შრომის დანახარჯი უნდა იყოს ჩართული ფასის შეთავაზებაში?

	<i>კვალიფიციური</i>	<i>ნახევრად კვალიფიციური</i>
ა	\$3,600	\$4,200
ბ	\$1,200	\$4,200
გ	\$3,600	\$5,400
დ	\$1,200	\$5,400

28. საქარხნო ზედნადები დანახარჯები შეადგენს \$3/საათში, აქედან \$1.50 საათში არის მანქანა-დანადგარების ელექტროენერჯის დანახარჯი, რომელიც გამოიყენება ქსოვილისა და ხის დასაჭრელად. დანარჩენი \$1.50 საათში არის ქარხნის ზედამხედველის ხელფასი, რომელსაც უხდიან წლიურ ხელფასს და ასევე საათში \$15-ს თითოეული ნამუშევარი ზენორმატიული საათისთვის. მოცემული შეკვეთის მიღების შემთხვევაში, იგი იმუშავებს ზენორმატიულ 20 საათს.

რა ოდენობის ქარხნის ზედნაღები ხარჯები ჩაირთვება ფასის შეთავაზებაში?

- ა \$1,050
- ბ \$1,800
- გ \$750
- დ \$300

29. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი აღწერს სწორად ფასის შეთავაზების მომზადების დროს, ბუღალტრულად როგორ უნდა აისახოს საერთო მუდმივი ზედნაღები ხარჯები?

- ა ზედნაღები ხარჯები უნდა გამოირიცხოს, რადგან იგი შეუქცევადი ხარჯებია.
- ბ ზედნაღები ხარჯები უნდა გამოირიცხოს, რადგან იგი დამატებითი ხარჯები არ არის.
- გ ზედნაღები ხარჯები ჩართული უნდა იყოს, რადგან იგი უკავშირდება საწარმოო ხარჯებს.
- დ ზედნაღები ხარჯები ჩართული უნდა იყოს, რადგან ყველა ხარჯი უნდა დაიფაროს.

30. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რელევანტური დანახარჯების კალკულაციის შესახებ, რომელია სწორი?

- (1) ალტერნატიული დანახარჯი ყოველთვის რელევანტურია, თუ იგი წარსული დანახარჯია.
- (2) მუდმივი დანახარჯები ყოველთვის საერთო დანახარჯებია და ამიტომ არასდროს რელევანტური არ არის.
- (3) გარდაუდებული დანახარჯები არასოდესაა რელევანტური.
- (4) ალტერნატიული დანახარჯი არის იმ საუკეთესო გამოყენებელი შესაძლებლობის ღირებულება, რომელზედაც არჩეული ქმედებების განხორციელებისას უარის თქმა მოგვიხდა.
- (5) პირობითი ხარჯები ყოველთვის რელევანტურია, რადგან მათი გამოყენების შემთხვევაში შეფასება უფრო რეალური ხდება.
- (6) თუ საქმიანობა განხორციელებული არ იქნებოდა, შესაძლებელი გახდებოდა გარკვეული დანახარჯების თავიდან არიდება, ამიტომ ეს დანახარჯები არარელევანტურია.
- (7) ერთობლივი დანახარჯები მხოლოდ იმ შემთხვევაშია რელევანტური, თუ ხდება მთლიანი პროცესის სიცოცხლისუნარიანობის შეფასება.

- ა (2), (3), (4) და (6).
- ბ (1), (2), (5) და (7).
- გ (3), (4), (6) და (7).
- დ (1), (5) და (6).

ნაწილი ბ – სავარჯიშო კითხვები

31. ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებელი კომპანია „ქარადი“ აწარმოებს ორი ტიპის ტელევიზორებს: პლანეტურეკრანიან და თხევადკრისტალიანი ეკრანის მქონეს. იგი საქმიანობას ეწევა ძლიერ კონკურენციულ ბაზარზე და მუდმივად განიცდის ზეწოლას, ფასების შემცირების კუთხით. კომპანიაში მოქმედებს ნორმატიული დანახარჯების კალკულაციის სისტემა და ყოველთვიურად ტარდება ორივე პროდუქტისთვის გადახრების დეტალური ანალიზი. მოცემული გაქვით ამონარიდები ნოემბრის თვის მმართველობითი ინფორმაციიდან:

		შენიშვნა
წარმოებული და გაყიდული ერთეულების მთლიანი რაოდენობა	1,400	1
მასალის ფასის გადახრა	\$28,000 ა	2
შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა	\$6,050 ა	3

შენიშვნები:

- 1) ტელევიზორების საბიუჯეტო რეალიზაციის მთლიანი მოცულობა იყო 1,180 ერთეული, რომელიც შედგება ორივე ტიპის ტელევიზორების თანაბარი რაოდენობისგან. პლანეტურეკრანიანი ტელევიზორების ფაქტობრივმა რეალიზაციამ შეადგინა 750 ერთეული, ხოლო თხევადკრისტალიანი ეკრანის მქონე ტელევიზორების რეალიზაციამ – 650. პლანეტურეკრანიანი ტელევიზორების ნორმატიული სარეალიზაციო ფასია \$350/ერთეული და თხევადკრისტალიანი ეკრანის მქონე ტელევიზორების – \$300/ერთეული. ნოემბრის თვეში პლანეტურეკრანიანი ტელევიზორებისთვის მიღწეული იქნა \$330 ფაქტობრივი ფასი ერთეულზე და თხევადკრისტალიანი ეკრანის მქონე ტელევიზორებისთვის – \$290/ერთეულზე. პლანეტურეკრანიანი ტელევიზორებისთვის ნორმატიული ზღვრული მოგება არის \$190/ერთეულზე და თხევადკრისტალიანი ეკრანის მქონე ტელევიზორებისთვის – \$180/ერთეულზე;
- 2) ამგვარი გადახრის ერთადერთი მიზეზი იყო ტელევიზორების ერთ-ერთი მთავარი დეტალის X-ის შესყიდვის ფასის გაზრდა. თითო პლანეტურეკრანიანი ტელევიზორისა და თითო თხევადკრისტალიანი ეკრანის მქონე ტელევიზორის გაკეთებას სჭირდება ერთი ერთეული X დეტალი, რომლის ნორმატიული დანახარჯი კომპანია „ქარადისთვის“ შეადგენს \$60-ს ერთეულზე. ბაზარზე შექმნილი დეფიციტის გამო, ნოემბერში X დეტალზე საბაზრო ფასმა აიწია \$85-მდე. „ქარადი“, ფაქტობრივად, ამ დეტალის ერთეულში იხდიდა \$80-ს;
- 3) თითოეული პლანეტურეკრანიანი ტელევიზორის საწარმოებლად გამოიყენება 2 ნორმატიული კაცსაათი, ხოლო თხევადკრისტალიანი ეკრანის მქონე ტელევიზორებისთვის – 1.5 ნორმატიული კაცსაათი. ნორმატიული შრომითი დანახარჯი საათში \$14-ს შეადგენს და ნოემბრის თვეში კომპანიის მუდმივ შტატზე მომუშავე პერსონალისთვის ერთ კაცსაათზე ფაქტობრივი დანახარჯიც \$14 იყო. თუმცა, ვინაიდან ნოემბერში გაიზარდა რეალიზაციისა და წარმოების მოცულობები, კომპანიამ დამატებით გამოიყენა უფრო დიდი დანახარჯის მქონე დროებითი სამუშაო ძალა – \$18 საათში. „ქარადის“ მუდმივი სამუშაო ძალის მთლიანი სიმძლავრე არის 2,200 საწარმოო საათი თვეში, სრული დატვირთვის პირობებში. ნოემბრის თვეში მუდმივი სამუშაო ძალა მაქსიმალური შრომის

ნაყოფიერებით მუშაობდა: ზუსტად 2 საათს ანდომებდნენ თითო პლაზმურ-ეკრანიანი ტელევიზორის დამზადებას და 1.5 საათს – თხევადკრისტალიანი ეკრანის მქონე ტელევიზორის წარმოებას. ამგვარად, შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა დაკავშირებულია მხოლოდ დროებით მუშებთან, რომლებიც ორჯერ მეტ დროს ანდომებდნენ წარმოების დასრულებას, ვიდრე მუდმივი მუშები.

მოგეთხოვებათ:

- ა) გამოითვალეთ შემდეგი მონაცემები ნოემბრის თვისთვის და ნათლად აჩვენეთ ყველა გაანგარიშება:
 - (1) რეალიზაციის ფასის გადახრა და რეალიზაციის მოცულობის ზღვრული მოგების გადახრა; **(6 ქულა)**
 - (2) მასალის ფასის გეგმური გადახრა და მასალის ფასის ოპერატიული გადახრა; **(2 ქულა)**
 - (3) შრომის ანაზღაურების განაკვეთის გადახრა და შრომის ნაყოფიერების გადახრა. **(7 ქულა)**
 - ბ) ახსნათ მიზეზები, რის გამოც „ქარადი“ დაინტერესდება მასალის ფასის გეგმური გადახრითა და მასალის ფასის ოპერატიული გადახრით. **(5 ქულა)**
- (სულ: 20 ქულა)**

32. მოცემული ინფორმაცია დაკავშირებულია კომპანია „პრესტონის ფინანსური მომსახურების“ სააღრიცხვო პრაქტიკასთან. კომპანია სპეციალიზებულია სტომატოლოგებისა და ექიმებისთვის საბუღალტრო და საგადასახადო მომსახურების გაწევაზე. მისი კლიენტები, ძირითადად, მდიდარი, თვითდასაქმებული ადამიანებია, რომელთა საშუალო ასაკი 52 წელია.

კომპანია დაფუძნებულია და მთლიანად კონტროლდება რიჩარდ პრესტონის მიერ, რომელიც დომინანტი და აგრესიული კერძო მეწარმეა. იგი გრძნობს, რომ ახალი პროდუქტის შეთავაზება მის კონსერვატიულ მომხმარებლებს არ ესადაგებათ და, შესაბამისად, წლიდან წლამდე იგი ერთი და იმავე მომსახურების შეთავაზებას განაგრძობს.

პირველ დანართში მოცემულია სააღრიცხვო პრაქტიკასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია, ხოლო მეორე დანართში არაფინანსური ინფორმაცია, დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის ფორმატში.

დანართი №1. ფინანსური ინფორმაცია

	მიმდინარე წელი	წინა წელი
ბრუნვა (\$000)	945	900
წმინდა მოგება (\$000)	187	180
ფულის საშუალო ნაშთი (\$000)	21	20
დებიტორული დავალიანების/სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის საშუალო დღეები (დარგის საშუალო მაჩვენებელია 30 დღე)	18	22
ინფლაციის განაკვეთი (%)	3	3

დანართი №2. დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა (ამონაწერი)

კომპანიის შიდა პროცესები	მიმდინარე წელი	წინა წელი
შეცდომების პროცენტული რაოდენობა შესრულებულ საქმეში	16%	10%
სამუშაოს დასრულების საშუალო დრო	7 კვირა	10 კვირა
ცოდნა მომხმარებლის შესახებ	მიმდინარე წელი	წინა წელი
მომხმარებელთა რაოდენობა	1,220	1,500
მომსახურების საშუალო ფასი (\$)	775	600
ბაზრის წილი	14%	20%
სწავლება და ზრდა	მიმდინარე წელი	წინა წელი
არაძირითადი სამუშაოდან შემოსავლის წილი	4%	5%
არაძირითადი სამუშაოდან შემოსავლის საშუალო დარგობრივი მაჩვენებელი სააღრიცხვო პრაქტიკაში	30%	25%
თანამშრომელთა შენარჩუნების განაკვეთი	60%	80%

შენიშვნა

- (1) შეცდომების წილი შესრულებულ საქმეში გამოითვლება მომსახურებული კლიენტების რაოდენობიდან.
- (2) ძირითადი სამუშაო განისაზღვრება საბუღალტრო და საგადასახადო მომსახურებით. არაძირითადი სამუშაო განისაზღვრება საპენსიო საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციებითა და ბიზნესკონსულტაციებით. არაძირითადი სამუშაო, ტრადიციულად, მაღალ რენტაბელურ საქმედ მიიჩნევა.

მოგეთხოვებათ:

- ა) მხოლოდ პირველ დანართში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, დაახასიათოთ კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგები (მოკლედ განიხილოთ ზრდა, მოგებიანობა, ლიკვიდურობა და ვალდებულებების კონტროლი); **(8 ქულა)**
- ბ) მეორე დანართში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, დაახასიათოთ კომპანიის საქმიანობის შედეგები. დახასიათება უნდა მოიცავდეს კომპანიის შიდა პროცესებს, მომხმარებლების შესახებ ცოდნასა და სწავლებას/ზრდას ცალ-ცალკე. უნდა წარმოადგინოთ ასევე მთლიანი კომპანიის საქმიანობის შედეგების შემაჯამებელი დასკვნა. **(12 ქულა)**

(სულ: 20 ქულა)